

**პოლიტიკური გაერთიანება
„ახალი მემარჯვენეები“ („ახლები“)**

წესდება

1. ზოგადი დებულებანი

- 1.1 პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“ („ახლები“) (შემდგომში გაერთიანება“) არის მემარჯვენე-ცენტრისტული ორიენტაციის მქონე მოქალაქეთა ნებაყოფლობითი პოლიტიკური გაერთიანება.
- 1.2 „გაერთიანება“ თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების საფუძველზე და მათი სრული დაცვით თანასწორობის, თანხმობის, კანონიერებისა და სხვა დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით;
- 1.3 „გაერთიანება“ წარმოადგენს იურიდიულ პირს სათანადო რეგისტრაციის მომენტიდან, აქვს განკერძოებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საღარე და სავალუტო ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში;
- 1.4 „გაერთიანებას“ აქვს ბეჭედი; „გაერთიანების“. სიმბოლოა შინდისფერ ოვალში მოთავსებულ მომცრო ოვალში ამომავალი ოქროსფერი მზე თეთრ ფონზე. ოვალებს შორის, ზევით-ქვევით, გაერთიანების სახელწოდება „ახალი მემარჯვენეები“ თეთრ ფერში, ხოლო მომცრო ოვალის ქვედა ნახევარსფეროში შინდისფერ ფონზე „გაერთიანების“ შემოკლებული სახელის ოქროსფერი წარწერა „ახლები“. გაერთიანების დროშაა – 3 თანაბარი ზომის ჰორიზონტალური ზოლი, ზედა და ქვედა – თეთრი, ხოლო შუა – შინდისფერი, რომელზეც გამოსახულია ზემოაღწერილი სიმბოლო;
- 1.5. „გაერთიანების“ იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ბ. კალანდაძის ქ. №3 (ყოფილი ბევრეთის);

**2. გაერთიანების მიზნები, ამოცანები და
საქმიანობის ფორმები**

- 2.1. „გაერთიანების“ ძირითადი მიზნებია:
- 2.1.1. საქართველოში სამართლებრივი, ძლიერი, თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება ქვეყნის ისტორიულ-კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით;
- 2.1.2. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და მისი შენარჩუნება;

- 2.1.3. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღება საპრეზიდენტო, საკანონმდებლო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და შემდგომში როგორც მათ, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის გზით;
- 2.1.4. მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების, ეკონომიკური და სოციალური უფლებების უზრუნველყოფა;
- 2.1.5. სახელმწიფოში განათლების და მეცნიერების პრიორიტეტულობის უზრუნველყოფა;
- 2.1.6. ქვეყანაში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფა;
- 2.1.7. მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვა და ამ ფონზე ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის გარანტიების შექმნა;
- 2.1.8. რადიკალური რეფორმის გატარება ლიბერალური ეკონომიკის კუთხით;
- 2.1.9. ყველა აუცილებელი პირობის შექმნა მოქალაქეთა ფართო მასების ჩასაბმელად საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური და ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაში;
- 2.2. „გაერთიანების“ ამოცანებია:
 - 2.2.1. „გაერთიანების“ მიზნებისა და პროგრამის რეალური განხორციელება;
 - 2.2.2. ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის, მართლწესრიგის განმტკიცების, ეკონომიკის აღმავლობის, მოქალაქეთა დასაქმების, სოციალური გარანტიების უზრუნველყოფისა და საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ხელშეწყობა;
 - 2.2.3. ისეთი პოლიტიკის გატარებისათვის ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობას და საერთო ეროვნულ თანხმობას, ხელისუფლების წარმომადგენელთა პასუხისმგებლობას საკუთარი მოქალაქეების წინაშე;
 - 2.2.4. საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება და რეალიზაციის ხელშეწყობა;
 - 2.2.5. საქართველოს მოქალაქეებისათვის „გაერთიანების“ ძირითადი მიზნებისა და პოზიციების განმარტება;
 - 2.2.6. „გაერთიანების“ კურსის მხარდამჭერთა მოპოვება;
 - 2.2.7. „გაერთიანებაში“ მოქალაქეთა გაწევრიანება;
- 2.3. თავისი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად „გაერთიანება“ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:
 - 2.3.1. იყენებს ყველა კანონიერ საშუალებას თავისი მსოფლმხედველობრივი პრინციპებისა და საპროგრამო დებულებების პოპულარიზაციისა და გავრცელებისათვის;
 - 2.3.2. მონაწილეობს საპრეზიდენტო, საკანონმდებლო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში;
 - 2.3.3. მონაწილეობს სხვადასხვა პოლიტიკურ დონისძიებებში მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით;
 - 2.3.4. აწვობს ლექცია-სემინარებს და კონფერენციებს „გაერთიანების“ ძირითადი მიმართულებების პროპაგანდისათვის;
 - 2.3.5. აწარმოებს სოციოლოგიურ გამოკითხვებს;
 - 2.3.6. იყენებს საქმიანობის სხვა კანონიერ ფორმებს და საშუალებებს;

3. გაერთიანების წევრობა, წევრთა უფლება-მოვალეობანი

- 3.1. „გაერთიანების“ წევრი შეიძლება გახდეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, თუ ამ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, რომელიც აღიარებს „გაერთიანების“ წესდებს და პროგრამას;
- 3.2. „გაერთიანებაში“ გაწევრიანება და „გაერთიანებიდან“ გასვლა ნებაყოფლობითია;
- 3.3. „გაერთიანების“ წევრად მიღება განეკუთვნება რაიონული ორგანიზაციის ბიუროს (ხოლო რაიონული ორგანიზაციის არარსებობის შემთხვევაში მთავარი კომიტეტის) კომპეტენციას, რომელსაც მოქალაქის პირადი განცხადების საფუძველზე გამოაქვს გადაწყვეტილება წევრად მიღების შესახებ;
- 3.4. „გაერთიანებაში“ შესვლის მსურველმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს რაიონულ ორგანიზაციას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში მთავარ კომიტეტს. განცხადებაში განმცხადებელმა უნდა დაადასტუროს, რომ იგი გაეცნო „გაერთიანების“ წესდებს, პროგრამას, ეთანხმება ყველა მის დებულებას და მზად არის კეთილსინდისიერად შეასრულოს წესდებით მასზე დაკისრებული მოვალეობანი და ისარგებლოს მინიჭებული უფლებებით;
- 3.5. „გაერთიანების“ წევრი უფლებამოსილია;
 - 3.5.1. აირჩიოს და იყოს არჩეული „გაერთიანების“ ხელმძღვანელ ორგანოებში;
 - 3.5.2. მონაწილეობა მიიღოს „გაერთიანების“ საქმიანობის ნებისმიერი საკითხის განხილვაში;
 - 3.5.3. პირადად მიიღოს მონაწილეობა (ხმის უფლების გარეშე) „გაერთიანების“ ხელმძღვანელი ორგანოების იმ სხდომებზე, რომელზეც განიხილება მისი საქმიანობის ან ქცევის საკითხი და მისცეს განმარტებები;
 - 3.5.4. კითხვით, განცხადებითა და წინადადებით მიმართოს „გაერთიანების“ ნებისმიერ ორგანოს და ხელმძღვანელ პირს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია „გაერთიანების“ საქმიანობასთან დაკავშირებით;
 - 3.5.5. გაასაჩივროს „გაერთიანების“ ნებისმიერი ორგანოს გადაწყვეტილება ზემდგომ ორგანოში;
 - 3.5.6. სახელმწიფო (საკანონმდებლო ან აღმასრულებელი) ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში თანამდებობაზე არჩევის ან დანიშვნის შემთხვევაში მიიღოს „გაერთიანებისაგან“ აუცილებელი მხარდაჭერა;
 - 3.5.7. თავისუფლად გამოვიდეს „გაერთიანებიდან“ რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოებისა ან მთავარი კომიტეტისათვის შეტყობინების გზით;
- 3.6. „გაერთიანების“ წევრი ვალდებულია;
 - 3.6.1. დაიცვას არსებული წესდება;
 - 3.6.2. თავისი პოლიტიკური საქმიანობისას იხელმძღვანელოს „გაერთიანების“ წესდებით და პროგრამით, ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებებით;
 - 3.6.3. მონაწილეობა მიიღოს „გაერთიანების“ საქმიანობაში;

- 3.6.4. იზრუნოს „გაერთიანების“ იდეური და ორგანიზაციული ერთობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად;
- 3.6.5. სახელმწიფოს საკანონმდებლო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევის, აგრეთვე აღმასრულებელ ხელისუფლებაში დანიშვნის ან არჩევის შემთხვევაში იმოქმედოს კანონის ფარგლებში, ხელი შეუწყოს „გაერთიანების“ მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას, გაატაროს „გაერთიანების“ პოლიტიკა ცენტრალური ხელისუფლების აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოებისა და ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაში. პერიოდულად ჩააბაროს ანგარიში მთავარ კომიტეტს თავისი საქმიანობის შესახებ მთავარი კომიტეტის მოთხოვნით;
- 3.6.6. დადგენილი წესის შესაბამისად გადაიხადოს საწევრო შესატანი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- 3.6.7. „გაერთიანების“ წევრი, რომელიც წამოყენებული იქნება დეპუტატობის კანდიდატად, სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს არჩევით თანამდებობაზე, ვალდებულია განაცხადოს „გაერთიანებაში“ თავისი წევრობისა და სტატუსის შესახებ;
- 3.6.8. „გაერთიანების“ წევრი, რომელიც გახდება საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წევრი „გაერთიანების“ პარტიული ხიის ან „გაერთიანების“ წარდგენით მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე, ვალდებულია შევიდეს „გაერთიანების“ ფრაქციაში ასეთის არსებობის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;
- 3.6.9. „გაერთიანების“ წევრებს, მათ შორის პარლამენტის წევრებს, მთავრობის წევრებს, პოლიტიკური საბჭოს წევრებს, მთავარი კომიტეტის წევრებს, რეგიონული, რაიონული და პირველადი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, არ აქვთ უფლება „გაერთიანების“ სახელით გააკეთონ ოფიციალური განცხადებები, რომლებიც ეწინააღმდეგება „გაერთიანების“ პოზიციას, რაც განსაზღვრულია „გაერთიანების“ ხელმძღვანელი ორგანოების მიერ წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით;
- 3.6.10. „გაერთიანების“ მიერ ოპოზიციაში გადასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში „გაერთიანების“ წევრი საქართველოს მთავრობის წევრები ვალდებულნი არიან გადადგნენ დაკავებული თანამდებობიდან;
- 3.6.11. პირნათლად შეასრულოს „გაერთიანების“ წინაშე ამ წესდებით ნაკისრი ვალდებულებები, იზრუნოს „გაერთიანების“ პროგრამის ცხოვრებაში გატარებისათვის;
- 3.7. „გაერთიანების“ წევრი „გაერთიანებიდან“ გასულად ითვლება:
- 3.7.1. „გაერთიანებიდან“ გასვლის თაობაზე განცხადების შეტანიდან;
- 3.7.2. საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის ან მოქალაქეობიდან გასვლის შემთხვევაში;
- 3.7.3. ქმედუნაროდ ცნობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 3.7.4. გარდაცვალების გამო;
- 3.7.5. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
- 3.7.6. „გაერთიანებიდან“ გასვლის თარიღად ითვლება ზემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი მოვლენის დადგომის თარიღი;

- 3.8 „გაერთიანების“ წევრი შეიძლება გარიცხულ იქნას „გაერთიანებიდან“ რაიონული ორგანიზაციის ბიუროს გადაწყვეტილებით წევრის აღრიცხვის ადგილის მიხედვით ან მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით (გარდა 3.9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) შემდეგ შემთხვევებში:
- 3.8.1. „გაერთიანების“ პროგრამის იგნორირების, აგრეთვე, წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო;
- 3.8.2. „გაერთიანების“ გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის ხელის შეშლის გამო;
- 3.8.3. სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის გამო, რომლითაც „გაერთიანების“ წევრი ცნობილ იქნა დამნაშავედ განზრახი დანაშაულის ჩადენაში;
- 3.8.4. ისეთი ქმედებების ჩადენის გამო, რომელიც ლახავს „გაერთიანების“ ინტერესებს და აყენებს მას პოლიტიკურ ზიანს;
- 3.8.5. „გაერთიანებიდან“ გარიცხვის შესახებ რაიონული ორგანიზაციის ბიუროს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში;
- 3.9. „გაერთიანების“ წევრი, რომელიც არჩეულია „გაერთიანების“ ხელმძღვანელ ან სარევიზიო ორგანოში, შეიძლება გარიცხულ იქნას „გაერთიანებიდან“ მხოლოდ იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელმაც აირჩია იგი ხელმძღვანელ ან სარევიზიო ორგანოში. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას წინ უნდა უსწრებდეს გადაწყვეტილება შესაბამისი თანამდებობიდან მისი განთავისუფლების შესახებ. „გაერთიანების“ ზემდგომ ორგანოს უფლება აქვს დაითხოვოს ან თანამდებობიდან გაათავისუფლოს ქვემდგომი ორგანო ან თანამდებობის პირი;
- 3.10. „გაერთიანების“ წევრები ექვემდებარებიან აღრიცხვას და ხელახალ რეგისტრაციას (ყოველი წლის ბოლოს) რაიონულ ორგანიზაციებში თავიანთი მუდმივი ან უპირატესი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მხოლოდ ერთ ადგილზე (ხოლო იქ, სადაც არ არის რაიონული ორგანიზაცია, ზემდგომ ორგანოში ან ცენტრალურ ოფისში) მთავარი კომიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

4. გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოები

- 4.1. „გაერთიანების“ ხელმძღვანელ, აღმასრულებელ და სარევიზიო ორგანოებს წარმოადგენენ: „გაერთიანების“ წევრთა ყრილობა, პოლიტიკური საბჭო, მთავარი კომიტეტი და სარევიზიო კომისია. „გაერთიანებას“ ჰყავს თავმჯდომარე, გენერალური მდივანი, პოლიტიკური მდივანი, საპარლამენტო მდივანი, საერთაშორისო მდივანი და საორგანიზაციო მდივანი;

გაერთიანების ყრილობა

- 4.2. „გაერთიანების“ უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა „გაერთიანების“ ყრილობა, რომელიც მოიწვევა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინ, მაგრამ არანაკლებ 4 წელიწადში ერთხელ „გაერთიანების“ თავმჯდომარის ან მთავარი კომიტეტის მიერ. რიგგარეშე ყრილობა შეიძლება მოწვეულ იქნას „გაერთიანების“ წევრთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 1/3-ის, რაიონული ორგანიზაციების 2/3-ის, პოლიტიკური საბჭოს, მთავარი კომიტეტის ან თავმჯდომარის ინიციატივით;
- 4.3. ყრილობა ტარდება მთავარი კომიტეტის მიერ დადგენილი წესით „გაერთიანების“ რაიონული ორგანიზაციების კონფერენციების მიერ არჩეული დელეგატებისაგან, იმის გათვალისწინებით, რომ გაერთიანების არაუმეტეს 400 წევრზე უნდა მოდიოდეს 1 დელეგატი და მათი საერთო ოდენობა არ უნდა იყოს კანონმდებლობით გათვალისწინებულზე ნაკლები. ყრილობის მუშაობაში დელეგატის სტატუსით მონაწილეობას იღებენ „გაერთიანების“ მთავარი კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრები, „გაერთიანების“ წვერი საქართველოს პარლამენტის წევრები და საქართველოს პარლამენტის მიერ სახელმწიფო აღმასრულებელ ხელისუფლებაში არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირები. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატების საერთო ოდენობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, გარდა წესდების 4.4.1 და 4.4.5 პუნქტებით გათვალისწინებული საკითხების გადაწყვეტისას. აღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების 2/3-ის უმრავლესობით. ხმათა თანაბარი გაყოფისას, გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს სხდომის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს ყრილობა დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.
- 4.4. ყრილობის კომპეტენციას განეკუთვნება:
- 4.4.1. წესდების მიღება, წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, აგრეთვე, „გაერთიანების“ პროგრამის მიღება;
- 4.4.2. „გაერთიანების“ თავმჯდომარის და გენერალური მდივნის არჩევა 4 წლის ვადით, აგრეთვე, ვადაზე ადრე განთავისუფლება მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას;
- 4.4.3. მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა 4 წლის ვადით.
- 4.4.4. მთავარი კომიტეტის, სარევიზიო კომისიის, ან მისი ცალკეული წევრის ვადაზე ადრე დათხოვნა (განთავისუფლება) მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას;
- 4.4.5. „გაერთიანების“ რეორგანიზაციის (შერწყმა, შეერთება, გაყოფა) ან თვითლიკვიდაციის საკითხის გადაწყვეტა;
- 4.4.6. საპრეზიდენტო არჩევნებისას პრეზიდენტის კანდიდატურის არჩევა (პრეზიდენტის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს მთავარ კომიტეტს, 2 რეგიონულ ორგანიზაციას ან 10 რაიონულ ორგანიზაციას);
- 4.4.7. „გაერთიანების“ თავმჯდომარის, გენერალური მდივნის და სარევიზიო კომისიის ანგარიშების მოსმენა და დამტკიცება;
- 4.4.8. ყრილობაზე კენჭისყრა ღიაა. სხდომის თავმჯდომარის ან 10 დელეგატის ინიციატივით, ნებისმიერ საკითხზე შეიძლება ჩატარდეს ფარული კენჭისყრა, თუ მას მხარს დაუჭერს ყრილობაზე დამსწრეთა უმრავლესობა;

პოლიტიკური საბჭო

- 4.5 პოლიტიკური საბჭო არის ყრილობებს შორის პერიოდში მოქმედი ორგანო;
- 4.6 პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობაში შედიან „გაერთიანების“ თავმჯდომარე, რომელიც ხელმძღვანელობს „გაერთიანების“ პოლიტიკურ საბჭოს, გენერალური მდივანი, მთავარი კომიტეტის სხვა წევრები, სარევიზიო კომისიის წევრები, საპარლამენტო მდივანი, პოლიტიკური მდივანი, საერთაშორისო მდივანი, საორგანიზაციო მდივანი, „გაერთიანების“ რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეები და ბიუროს წევრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეები, საქართველოს პარლამენტის წევრები და პარლამენტის მიერ სახელმწიფო აღმასრულებელ ხელისუფლებაში არჩეული, დანიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირები, რომლებიც იმავდროულად არიან „გაერთიანების“ წევრები, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, მთავარი კომიტეტის მიერ დანიშნული არაუმეტეს 10 წევრი და ახალგაზრდული და ქალთა ორგანიზაციის არსებობის შემთხვევაში, თავმჯდომარე და ორგანიზაციის გამგეობის წევრები, რომლებიც იმავდროულად არიან „გაერთიანების“ წევრები;
- 4.7 პოლიტიკური საბჭო იკრიბება 6 თვეში ერთხელ გაერთიანების თავმჯდომარის მოწვევით, თუმცა შესაძლოა რიგგარეშე სხდომის მოწვევა „გაერთიანების“. თავმჯდომარის, მთავარი კომიტეტის ან პოლიტიკური საბჭოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნით. რიგგარეშე სხდომის ინიციატორი ვალდებულია მიუთითოს დღის წესრიგი;
- 4.8 პოლიტიკური საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება შემადგენლობის ნახევარზე მეტი. პოლიტიკურ საბჭოზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. „გაერთიანების“ თავმჯდომარის ან პოლიტიკური საბჭოს 10 წევრის ინიციატივით შეიძლება ნებისმიერ საკითხზე ჩატარდეს ფარული კენჭისყრა, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა. ხმათა თანაბარი გაყოფის შემთხვევაში, „გაერთიანების“ თავმჯდომარე სარეგებლობს გადაწყვეტილების უფლებით. პოლიტიკური საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება:
- 4.8.1. საკუთარი მუშაობის რეგლამენტის მიღება;
- 4.8.2. „გაერთიანების“ ფინანსური სახსრების განკარგვის შესახებ გენერალური მდივნის წლიური ანგარიშის მოსმენა;
- 4.8.3. „გაერთიანების“ პოლიტიკური მდივნის, საპარლამენტო მდივნის, საერთაშორისო მდივნის და საორგანიზაციო მდივნის არჩევა „გაერთიანების“ თავმჯდომარის, მთავარი კომიტეტის ან პოლიტიკური საბჭოს 10 წევრის წარდგინებით;
- 4.8.4. „გაერთიანების“ რეგიონული და რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეების ანგარიშების მოსმენა და დამტკიცება;
- 4.8.5. „გაერთიანების“ ახალგაზრდული და ქალთა ორგანიზაციების შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- 4.8.6. „გაერთიანების“ მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო საქმიანობის მიზნით ბეჭდვითი ორგანოს დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილების მიღება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

- 4.8.7. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისას „გაერთიანების“ პარტიული სიის დამტკიცება „გაერთიანების“ თავმჯდომარის (საარჩევნო შტაბის თავმჯდომარის) წარდგინებით;
- 4.8.8. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისას მაჟორიტარი კანდიდატების დამტკიცება „გაერთიანების“ თავმჯდომარის (საარჩევნო შტაბის თავმჯდომარის) წარდგინებით 5.6.4. და 5.9.2. პუნქტებით დადგენილი წესის გათვალისწინებით;
- 4.8.9. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისას „გაერთიანების“ პარტიული სიების და მაჟორიტარი კანდიდატების დამტკიცება 5.13.2 და 5.17.2 პუნქტით დადგენილი წესის გათვალისწინებით;
- 4.8.10. „გაერთიანების“ საქმიანობის მიმართულებების მიხედვით კომისიების შექმნა, მათი ანგარიშების მოსმენა და დამტკიცება;
- 4.8.11. საწევრო შესატანის შემოღება. აგრეთვე, შესატანის ოდენობის, გადახდისა და განაწილების წესის განსაზღვრა;
- 4.8.12. გადაწყვეტილების მიღება საარჩევნო ბლოკში გასაერთიანებლად, კოალიციაში (მათ შორის სამთავრობო კოალიციაში) შესასვლელად. აგრეთვე, ნებისმიერი არჩევნებისათვის ბოიკოტის გამოცხადება აუცილებლობის შემთხვევაში;
- 4.8.13. ოპოზიციაში გადასვლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;

მთავარი კომიტეტი (გამგეობა)

- 4.9. „გაერთიანების“ მთავარი კომიტეტი (გამგეობა) არის „გაერთიანების“ აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობს „გაერთიანების“ თავმჯდომარე. მთავარ კომიტეტს ირჩევს „გაერთიანების“ ყრილობა 4 წლის ვადით. „გაერთიანების“ მთავარი კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 7 წევრით, მათ შორის შედიან „გაერთიანების“ თავმჯდომარე და გენერალური მდივანი;
- 4.10. მთავარი კომიტეტი იკრიბება თვეში ერთხელ მაინც;
- 4.11. მთავარი კომიტეტის ფუნქციებია:
 - 4.11.1 „გაერთიანების“ სახელით განცხადებების გაკეთება;
 - 4.11.2 „გაერთიანების“ საორგანიზაციო კომიტეტის სტრუქტურის, შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცება „გაერთიანების“ თავმჯდომარის წარდგინებით;
 - 4.11.3 „გაერთიანების“ აპარატის სტრუქტურის, შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცება გენერალური მდივნის წარდგინებით.
 - 4.11.4 რეგიონული და რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეებისა და ბიუროს დამტკიცება;
 - 4.11.5 პოლიტიკურ საბჭოში არა უმეტეს 10 წევრის დანიშვნა საჭიროების შემთხვევაში;
 - 4.11.6 გადაწყვეტილების მიღება „გაერთიანების“ რეგიონული და რაიონული ორგანიზაციების დასაფუძნებლად, მათი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. აგრეთვე, „გაერთიანების“ რეგიონული და რაიონული ორგანიზაციების დებულებების დამტკიცება;

- 4.11.7. „გაერთიანების“ წევრთა აღრიცხვისა და ხელახალი რეგისტრაციის წესის განსაზღვრა;
- 4.11.8. ყრილობის დელეგატთა არჩევის წესის განსაზღვრა, გაერთიანების რეგიონული ორგანიზაციის კონფერენციის დელეგატთა არჩევის წესის განსაზღვრა;
- 4.11.9. „გაერთიანების“ უძრავ ქონებაზე გარიგების დასადებად (მათ შორის განკარგვის თაობაზე) თანხმობის გაცემა კანონით დადგენილი წესით;
- 4.11.10. დარგობრივი კომისიების, საკონსულტაციო საბჭოს შექმნა და მათი შემადგენლობის ფორმირება „გაერთიანების“ გენერალური მდივნის წარდგინებით;
- 4.11.11. საარჩევნო უფლების მქონე 21 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქის „გაერთიანების“ წევრად მიღება;
- 4.11.12. საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა ინსტრუქციების შემუშავება „გაერთიანების“ შიდასაპროცედურო საკითხების დასარეგულირებლად „გაერთიანების“ გენერალური მდივნის წარდგინებით;
- 4.11.13. ყრილობისა და პოლიტიკური საბჭოს დღის წესრიგის დამტკიცება და გამოქვეყნება;
- 4.11.14. „გაერთიანების“ რიგგარეშე ყრილობის, რეგიონული და რაიონული ორგანიზაციის რიგგარეშე კონფერენციის მოწვევა;
- 4.11.15. განსაკუთრებულ შემთხვევაში რეგიონული და რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეების თანამდებობიდან განთავისუფლება, მათი მოვალეობის შემსრულებლების დანიშვნა, აგრეთვე, ბიუროს დათხოვნა;
- 4.11.16. ყრილობისათვის „გაერთიანების“ თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენა;
- 4.11.17. „გაერთიანების“ პოლიტიკური საბჭოსათვის დასამტკიცებლად პოლიტიკური მდივნის, საპარლამენტო მდივნის, საერთაშორისო მდივნის და საორგანიზაციო მდივნის კანდიდატურის წარდგენა;
- 4.11.18. „გაერთიანების“ წევრის დამადასტურებელი მოწმობის ერთიანი ფორმის შემუშავება;
- 4.11.19. წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულება. ამასთან, ყველა იმ საკითხის დარეგულირება, რომელიც არ შედის ყრილობისა და პოლიტიკური საბჭოს კომპეტენციაში;
- 4.11.20. მთავარი კომიტეტი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მთავარ კომიტეტზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით ღია კენჭისყრით. ხმათა თანაბარი გაყოფის შემთხვევაში, „გაერთიანების“ თავმჯდომარე სარგებლობს გადაწყვეტი ხმის უფლებით;

გაერთიანების თავმჯდომარე

- 4.12 „გაერთიანების“ თავმჯდომარე არის „გაერთიანების“ ხელმძღვანელი პირი, რომელსაც მთავარი კომიტეტის, არანაკლებ 5 რაიონული ორგანიზაციის ან 50 დელეგატის წარდგინებით თანამდებობაზე ირჩევს ყრილობა 4 წლის ვადით დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. „გაერთიანების“ თავმჯდომარე:

- 4.12.1. ხელმძღვანელობს „გაერთიანებას“ და დამოუკიდებლად წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში (ასრულებს წარმომადგენლობით ფუნქციას);
- 4.12.2. გამოდის პოლიტიკური განცხადებებით;
- 4.12.3. ყრილობას წარუდგენს „გაერთიანების“ გენერალური მდივნის კანდიდატურას;
- 4.12.4. თავმჯდომარეობს პოლიტიკურ საბჭოს, მთავარ კომიტეტს. ხმათა თანაბარი გაყოფის შემთხვევაში სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით;
- 4.12.5. ქმნის და ხელმძღვანელობს (თავმჯდომარეობს) საარჩევნო შტაბს, ან ნიშნავს საარჩევნო შტაბის თავმჯდომარეს;
- 4.12.6. თავისი კომპეტენციის ფარგლებში აძლევს დავალებებს გენერალურ მდივანს, „გაერთიანების“ სხვა წევრებს;
- 4.12.7. შეუძლია თავისი ფუნქციების ნაწილის დროებით დელეგირება გენერალურ მდივანზე, პოლიტიკურ მდივანზე, საპარლამენტო მდივანზე, საერთაშორისო მდივანზე და საორგანიზაციო მდივანზე;
- 4.12.8. გასცემს მინდობილობებს (რწმუნებულებებს);
- 4.12.9. გასცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს „გაერთიანების“ საქმიანობასთან დაკავშირებით;
- 4.12.10. იწვევს ყრილობას, პოლიტიკურ საბჭოს, მთავარ კომიტეტს (მათ შორის რიგგარეშეს), განსაზღვრავს ამ სხდომების დღის წესრიგს და წარუდგენს მთავარ კომიტეტს დასამტკიცებლად;
- 4.12.11. „გაერთიანების“ პოლიტიკურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს „გაერთიანების“ პოლიტიკური მდივნის, საპარლამენტო მდივნის, საერთაშორისო მდივნის და საორგანიზაციო მდივნის კანდიდატურებს;
- 4.12.12. მთავარ კომიტეტს დასამტკიცებლად წარუდგენს საორგანიზაციო კომიტეტის სტრუქტურას, შემადგენლობასა და საქმიანობის წესს;
- 4.12.13. ახორციელებს წინამდებარე წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს;

სარევიზიო კომისია

- 4.13. სარევიზიო კომისია აირჩევა ყრილობის მიერ 4 წლის ვადით 3 წევრის შემადგენლობით დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. სარევიზიო კომისია თავის შემადგენლობიდან უმრავლესობით ირჩევს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს. სარევიზიო კომისიის წევრს არა აქვს უფლება ეკავოს სხვა თანამდებობა „გაერთიანებაში“. სარევიზიო კომისიის ფუნქციას განეკუთვნება „გაერთიანების“ საფინანსო-საბუღალტრო, სამეურნეო და იურიდიული რევიზია ყოველწლიურად. სარევიზიო კომისიის სხდომები იმართება 6 თვეში ერთხელ. სარევიზიო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება შემადგენლობის უმრავლესობით. სარევიზიო კომისია ინფორმაციას წარუდგენს პოლიტიკურ საბჭოს და ანგარიშს აბარებს ყრილობას;

გენერალური მდივანი

- 4.14. „გაერთიანების“ გენერალურ მდივანს თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს ყრილობა დამსწრეთა ხმების უმრავლესობით 4 წლის ვადით;
- 4.15. გენერალური მდივანი:
 - 4.15.1. ორგანიზაციას უწევს პოლიტიკური საბჭოსა და მთავარი კომიტეტის მუშაობას;
 - 4.15.2. კოორდინაციას და საერთო ზედამხედველობას უწევს „გაერთიანების“ აპარატს;
 - 4.15.3. ხელმძღვანელობს „გაერთიანების“ მიმდინარე საქმიანობას და რეგიონული და რაიონული ორგანიზაციების მუშაობას;
 - 4.15.4. საჭიროების შემთხვევაში მთავარ კომიტეტს წარუდგენს სხვადასხვა ინსტრუქციებს „გაერთიანების“ შიდასაპროცედურო საკითხების დასარეგულირებლად;
 - 4.15.5. მთავარ კომიტეტს წარუდგენს აპარატის სტრუქტურას, შემადგენლობასა და საქმიანობის წესს, რაიონული, რეგიონული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციების და პირველადი ორგანიზაციების სტრუქტურას და საშტატო ერთეულებს დასამტკიცებლად;
 - 4.15.6. მთავარი კომიტეტის მიერ დამტკიცებული სტრუქტურის მიხედვით ნიშნავს და ანთავისუფლებს „გაერთიანების“ აპარატის თანამშრომლებს;
 - 4.15.7. მთავარ კომიტეტს წარუდგენს დარგობრივი კომისიებისა და საკონსულტაციო საბჭოს სტრუქტურასა და შემადგენლობას დასამტკიცებლად;
 - 4.15.8. „გაერთიანების“ ფინანსური სახსრების განკარგვის შესახებ პოლიტიკურ საბჭოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს;
 - 4.15.9. გასცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს აპარატის მუშაობასთან დაკავშირებით;
 - 4.15.10. სპეციალური უფლებამოსილების გარეშე გამოდის „გაერთიანების“ სახელით სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში, დებს გარიგებებს წინამდებარე წესდების 4.11.9 პუნქტისა და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, საბანკო დაწესებულებებში ხსნის ანგარიშებს, გასცემს მინდობილობებს კანონით დადგენილი წესით თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
 - 4.15.11. განკარგავს „გაერთიანების“ სახსრებს;
 - 4.15.12. ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს;

ზოგადი და სპეციალური წარმომადგენლობა

- 4.16. „გაერთიანების“ ზოგადი წარმომადგენლობის უფლება გააჩნია „გაერთიანების“ თავმჯდომარეს დამოუკიდებლად ამ წესდებით განსაზღვრულ ფარგლებში. „გაერთიანების“ სპეციალურ წარმომადგენლობაზე უფლება გააჩნია „გაერთიანების“ გენერალურ მდივანს, პოლიტიკურ მდივანს, საპარლამენტო მდივანს, საერთაშორისო მდივანს და საორგანიზაციო მდივანს ამ წესდებით განსაზღვრულ ფარგლებში;

პოლიტიკური მდივანი

- 4.17 „გაერთიანების“ პოლიტიკურ მდივანს თავმჯდომარის, მთავარი კომიტეტის ან პოლიტიკური საბჭოს 10 წევრის წარდგინებით 2 წლის ვადით ირჩევს „გაერთიანების“ პოლიტიკური საბჭო;
- 4.17.1 „გაერთიანების“ პოლიტიკური მდივანი:
- 4.17.2 კოორდინაციას უწევს „გაერთიანების“ ანალიტიკურ და საინფორმაციო საქმიანობას, საზოგადოებასთან ურთიერთობას.
- 4.17.3 „გაერთიანების“ თავმჯდომარისა და მთავარი კომიტეტის დავალებით გამოდის პოლიტიკური განცხადებებით;

საპარლამენტო მდივანი

- 4.18. „გაერთიანების“ საპარლამენტო მდივანს თავმჯდომარის, მთავარი კომიტეტის ან პოლიტიკური საბჭოს 10 წევრის წარდგინებით 2 წლის ვადით ირჩევს „გაერთიანების“ პოლიტიკური საბჭო;
- 4.18.1 „გაერთიანების“ საპარლამენტო მდივანი:
- 4.18.2 „გაერთიანებას“ წარუდგენს ინფორმაციას საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობის შესახებ;
- 4.18.3 კოორდინაციას უწევს „გაერთიანების“ ურთიერთობას საქართველოს პარლამენტის სტრუქტურებთან;
- 4.18.4 უზრუნველყოფს „გაერთიანებისა“ და საპარლამენტო ფრაქციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კოორდინირებულ მუშაობას.

საერთაშორისო მდივანი

- 4.19. „გაერთიანების“ საერთაშორისო მდივანს თავმჯდომარის, მთავარი კომიტეტის ან პოლიტიკური საბჭოს 10 წევრის წარდგინებით 2 წლის ვადით ირჩევს „გაერთიანების“ პოლიტიკური საბჭო;
- 4.19.1 „გაერთიანების“ საერთაშორისო მდივანი:
- 4.19.2 კოორდინაციას უწევს „გაერთიანების“ ურთიერთობებს დიპლომატიურ კორპუსთან;
- 4.19.3 კოორდინაციას უწევს „გაერთიანების“ ურთიერთობებს საზღვარგარეთის ქვეყნების თანამოაზრე პარტიებთან;
- 4.19.4 კოორდინაციას უწევს „გაერთიანების“ ურთიერთობებს საერთაშორისო სტრუქტურებთან და ორგანიზაციებთან.
- 4.19.5 ცალკეულ შემთხვევებში თავმჯდომარის დავალებით წარმოადგენს „გაერთიანებას“ ზემოთხამოთვლილ სტრუქტურებში;

საორგანიზაციო მდივანი

- 4.20. „გაერთიანების“ საორგანიზაციო მდივანს თავმჯდომარის, მთავარი კომიტეტის ან პოლიტიკური საბჭოს წარდგინებით 2 წლის ვადით ირჩევს „გაერთიანების“ პოლიტიკური საბჭო;
- 4.20.1. „გაერთიანების“ საორგანიზაციო მდივანი:
- 4.20.2. კოორდინაციას უწევს „გაერთიანების“ სტრუქტურული ერთეულების ყოველდღიურ მუშაობას;
- 4.20.3. კონტროლს უწევს „გაერთიანების“ პოლიტიკური საბჭოს, მთავარი კომიტეტის, თავმჯდომარისა და გენერალური მდივნის გადაწყვეტილებების შესრულებას;
- 4.20.4. გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით კოორდინაციას უწევს „გაერთიანების“ რეგიონული და რაიონული ორგანიზაციების საქმიანობას.

5. გაერთიანების ორგანიზაციული სტრუქტურა

- 5.1. „გაერთიანების“ შემადგენლობაში შედიან რეგიონული, რაიონული და პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების საფუძველზე და მათი სრული დაცვით;
- 5.2. „გაერთიანების“ რეგიონულ, რაიონულ და პირველად ორგანიზაციებს არა აქვთ უფლება მიიღონ ცალკე წესდება. მთავარი კომიტეტი ამტკიცებს „გაერთიანების“ რეგიონული და რაიონული ორგანიზაციების დებულებებს, ხოლო რაიონული ორგანიზაციის ბიურო – პირველადი ორგანიზაციის შინაგანაწესს;

გაერთიანების რეგიონული ორგანიზაცია

- 5.3. „გაერთიანების“ რეგიონული ორგანიზაციები იქმნება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისათვის შექმნილი ან ჩამოყალიბებული მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებში;
- 5.4. „გაერთიანების“ რეგიონული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მთავარი კომიტეტის მიერ დადგენილი წესით რაიონული ორგანიზაციების კონფერენციების მიერ არჩეული დელეგატები, რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე და ბიუროს სხვა წევრები, აგრეთვე ადგილზე „გაერთიანების“ წევრი ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელები, თვითმმართველობის ორგანოთა წევრები და მაჟორიტარი პარლამენტის წევრები;
- 5.5. რეგიონული ორგანიზაციის კონფერენცია იმართება საპარლამენტო არჩევნების წინ, მაგრამ არანაკლებ 4 წელიწადში ერთხელ მთავარი კომიტეტის, რეგიონული ორგანიზაციის ბიუროს ან სულ ცოტა 2 რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოწვევით. შესაძლებელია რიგგარეშე კონფერენციის მოწვევა.

კონფერენცია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმათა თანაბარი გაყოფის შემთხვევაში, ორგანიზაციის თავმჯდომარე სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით;

- 5.6. რეგიონული ორგანიზაციის კონფერენციის კომპეტენციას განეკუთვნება:
 - 5.6.1. რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის არჩევა დამსწრეთა ხმების უმრავლესობით 2 წლის ვადით, რომელსაც ამტკიცებს მთავარი კომიტეტი;
 - 5.6.2. რეგიონული ორგანიზაციის ბიუროს არჩევა არანაკლებ 5 და არაუმეტეს 9 წევრის შემადგენლობით 2 წლის ვადით, რომელსაც ამტკიცებს მთავარი კომიტეტი;
 - 5.6.3. მასში შემავალი „გაერთიანების“ რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეების ანგარიშების მოსმენა, რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის და ბიუროს წევრების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მთავარი კომიტეტის წინაშე;
 - 5.6.4. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისას მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა (5.9.2 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით)საარჩევნო შტაბისა და მისი თავმჯდომარისათვის, ამ უკანასკნელის მიერ პოლიტიკურ საბჭოზე დასამტკიცებლად;
 - 5.6.5. წინამდებარე წესდებითა და მთავარი კომიტეტის მიერ დამტკიცებული დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;
- 5.7. „გაერთიანების“ რეგიონული ორგანიზაციის ბიუროს შემადგენლობაში შედის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, რომელიც ხელმძღვანელობს ბიუროს;
- 5.8. რეგიონული ორგანიზაციის ბიუროს უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.
- 5.9. რეგიონული ორგანიზაციის ბიურო:
 - 5.9.1. წარმოადგენს რეგიონული ორგანიზაციის აღმასრულებელ ორგანოს;
 - 5.9.2. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისას კონფერენციაზე აყენებს მაჟორიტარი დეპუტატის კანდიდატურას;
 - 5.9.3. მონაწილეობას იღებს პოლიტიკური საბჭოს მუშაობაში;
 - 5.9.4. ატარებს „გაერთიანების“ პროგრამის პოპულარიზაციის ღონისძიებებს;
 - 5.9.5. იწვევს რეგიონული ორგანიზაციის (მათ შორის, რიგგარეშე) კონფერენციას;
 - 5.9.6. ახორციელებს წინამდებარე წესდებითა და მთავარი კომიტეტის მიერ დამტკიცებული დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;
- 5.10. რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე:
 - 5.10.1. ხელმძღვანელობს „გაერთიანების“ რეგიონულ ორგანიზაციას და ბიუროს;
 - 5.10.2. არის რეგიონული ორგანიზაციის ფინანსურად და ქონებრივად პასუხისმგებელი პირი, ყოველწლიურად აბარებს ანგარიშს სარევიზიო კომისიას რეგიონული ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის შესახებ;
 - 5.10.3. ხელმძღვანელობს „გაერთიანების“ პროგრამის პოპულარიზაციის ღონისძიებებს, კოორდინაციას უწევს საარჩევნო კამპანიას მოცემულ რეგიონში საარჩევნო შტაბის გადაწყვეტილებების სრული დაცვით;
 - 5.10.4. ნიშნავს და ანთავისუფლებს აპარატის თანამშრომლებს მთავარი კომიტეტის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით;

- 5.10.5. „გაერთიანების“ რეგიონული ორგანიზაციის საქმიანობის თაობაზე ანგარიშს წარუდგენს „გაერთიანების“ მთავარ კომიტეტს, აგრეთვე, ანგარიშს აბარებს პოლიტიკურ საბჭოს და რეგიონული ორგანიზაციის კონფერენციას;
- 5.10.6. ახორციელებს მთავარი კომიტეტის მიერ დამტკიცებული დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს

გაერთიანების რაიონული ორგანიზაცია

- 5.11. საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს არჩევნებისათვის შექმნილი ან ჩამოყალიბებული საარჩევნო ოლქის საზღვრებში, სადაც არის „გაერთიანების“ 50 წევრი მაინც, მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით იქმნება „გაერთიანების“ რაიონული ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ გაერთიანების ფილიალებს;
- 5.12. „გაერთიანების“ რაიონული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა კონფერენცია. კონფერენციის დელეგატებს ირჩევენ პირველადი ორგანიზაციები რაიონული ორგანიზაციის ბიუროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. კონფერენციის მუშაობაში დელეგატის სტატუსით აგრეთვე მონაწილეობას იღებენ, რაიონული ორგანიზაციის ბიუროს წევრები, მოცემულ რაიონში „გაერთიანების“ წევრი ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელები და თვითმმართველობის ორგანოთა წევრები;
- 5.13. კონფერენცია იმართება 2 წელიწადში ერთხელ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის, ბიუროს ან მთავარი კომიტეტის მოწვევით. აგრეთვე, შესაძლებელია რიგგარეშე კონფერენციის მოწვევა. კონფერენციის კომპეტენციას განეკუთვნება:
 - 5.13.1. რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის არჩევა დამსწრეთა ხმების უმრავლესობით 2 წლის ვადით, რომელსაც ამტკიცებს მთავარი კომიტეტი;
 - 5.13.2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულოს) არჩევნებისათვის პარტიული სიების და მაჟორიტარი კანდიდატების განხილვა და წარდგინება საარჩევნო შტაბისთვის (5.17.2 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით). საარჩევნო შტაბის თავმჯდომარე ზემოაღნიშნულს წარუდგენს პოლიტიკურ საბჭოს დასამტკიცებლად;
 - 5.13.3. ყრილობის დელეგატების არჩევა მთავარი კომიტეტის მიერ დადგენილი წესით;
 - 5.13.4. „გაერთიანების“ რაიონული ორგანიზაციის ბიუროს არჩევა არანაკლებ 5 და არაუმეტეს 9 წევრის შემადგენლობით 2 წლის ვადით, რაც უნდა დაამტკიცოს მთავარმა კომიტეტმა. დელეგატების არჩევა რეგიონული ორგანიზაციის კონფერენციისათვის მთავარი კომიტეტის მიერ დადგენილი წესით;
 - 5.13.5. „გაერთიანების“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა და დამტკიცება;
 - 5.13.6. წინამდებარე წესდებით და მთავარი კომიტეტის მიერ დამტკიცებული დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;
- 5.14. კონფერენცია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატების ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით ღია კენჭისყრით. სხდომის თავმჯდომარის ან 10 დელეგატის ინიციატივით შეიძლება ჩატარდეს ფარული კენჭისყრა, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა;

- 5.15. „გაერთიანების“ რაიონული ორგანიზაციის აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს ბიურო. ბიუროს სხდომები იმართება თვეში ერთხელ მაინც. ბიუროს ხელმძღვანელობს „გაერთიანების“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე. ბიუროს სხდომებს ესწრებიან პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარეები სათათბირო ხმის უფლებით;
- 5.16. ბიუროს კომპეტენციას განეკუთვნება:
- 5.17.1. „გაერთიანების“ წევრების მიღება და გარიცხვა წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით;
- 5.17.2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისას საარჩევნო სიის შემუშავება და მაჟორიტარი კანდიდატების წამოყენება საარჩევნო შტაბთან შეთანხმებით, რომელსაც განიხილავს კონფერენცია და წარუდგენს საარჩევნო შტაბს ამ უკანასკნელის მიერ პოლიტიკურ საბჭოზე დასამტკიცებლად;
- 5.17.3. „გაერთიანების“ წევრთა აღრიცხვა და ხელახალი რეგისტრაცია მოცემულ რაიონში მთავარი კომიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
- 5.17.4. „გაერთიანების“ წევრის პირადი აღრიცხვის ბარათის გახსნა;
- 5.17.5. საწევრო შესატანების შეგროვება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- 5.17.6. „გაერთიანების“ პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით ღონისძიებების გატარება მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით;
- 5.17.7. კონფერენციის (მათ შორის რიგგარეშე კონფერენციის) მოწვევა და დღის წესრიგის განსაზღვრა;
- 5.17.8. პირველადი ორგანიზაციის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- 5.17.9. პირველადი ორგანიზაციის კრების ჩატარების წესის განსაზღვრა;
- 5.17.10. რაიონული ორგანიზაციის კონფერენციის დელეგატთა არჩევის წესის განსაზღვრა, იმის გათვალისწინებით, რომ დელეგატების რაოდენობა არ უნდა იყოს 50-ზე ნაკლები;
- 5.18. „გაერთიანების“ რაიონულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს კონფერენცია დამსწრეთა ხმების უმრავლესობით 2 წლის ვადით და ამტკიცებს მთავარი კომიტეტი;
- 5.19. „გაერთიანების“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე:
- 5.19.1. ხელმძღვანელობს „გაერთიანების“ რაიონული ორგანიზაციის საქმიანობას;
- 5.19.2. არის პოლიტიკური საბჭოს წევრი და წარმოადგენს რაიონულ ორგანიზაციას პოლიტიკურ საბჭოზე;
- 5.19.3. ხელმძღვანელობს „გაერთიანების“ რაიონული ორგანიზაციის ბიუროს;
- 5.19.4. არის რაიონული ორგანიზაციის ფინანსურად პასუხისმგებელი პირი, ყოველწლიურად აბარებს ანგარიშს სარევიზიო კომისიას რაიონული ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის შესახებ;
- 5.19.5. ნიშნავს და ათავისუფლებს „გაერთიანების“ რაიონული ორგანიზაციის აპარატის თანამშრომლებს მთავარი კომიტეტის მიერ დამტკიცებული საშტატო ერთეულების მიხედვით;
- 5.19.6. ხელმძღვანელობს „გაერთიანების“ პროგრამის პოპულარიზაციის ღონისძიებებს. საარჩევნო შტაბის თავმჯდომარის გადაწყვეტილების შემთხვევაში კოორდინაციას

უწევს საარჩევნო კამპანიას მოცემულ რაიონში საარჩევნო შტაბის გადაწყვეტილებების სრული დაცვით;

5.19.7. „გაერთიანების“ რაიონული ორგანიზაციის საქმიანობის თაობაზე ანგარიშს წარუდგენს „გაერთიანების“ მთავარ კომიტეტს, აგრეთვე, ანგარიშს აბარებს პოლიტიკურ საბჭოს და რაიონული ორგანიზაციის კონფერენციას;

გაერთიანების პირველადი ორგანიზაცია

5.20. საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში საარჩევნო უბნების მიხედვით, სადაც არის „გაერთიანების“ 3 წევრი მაინც, რაიონული ორგანიზაციის ბიუროს გადაწყვეტილებით იქმნება პირველადი ორგანიზაცია, რომლის საქმიანობა ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას, წინამდებარე წესდებას და რაიონული ორგანიზაციის ბიუროს მიერ დამტკიცებულ შინაგანაწესს;

5.21. პირველადი ორგანიზაცია არის „გაერთიანების“ პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც აწარმოებს აქტიურ ურთიერთობას „გაერთიანების“ წევრებთან, ორგანიზაციას უწევს საარჩევნო კამპანიას, რასაც ათანხმებს საარჩევნო შტაბთან;

5.22. პირველადი ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა წევრთა კრება, რომელიც იმართება ყოველწლიურად. კრება:

5.22.1. ირჩევს თავმჯდომარეს 2 წლის ვადით დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, რომელსაც შემდგომ ამტკიცებს რაიონული ორგანიზაციის ბიურო;

5.22.2. ირჩევს დელეგატებს რაიონული ორგანიზაციის კონფერენციისათვის რაიონული ორგანიზაციის ბიუროს მიერ დადგენილი წესით;

5.22.3. ახორციელებს წინამდებარე წესდებითა და რაიონული ორგანიზაციის ბიუროს მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით დაკისრებულ სხვა ფუნქციებს;

5.23. პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარის ფუნქციებია:

5.23.1. პირველადი ორგანიზაციის საქმიანობის ორგანიზება და ეფექტური მუშაობის წარმართვა;

5.23.2. პირველადი ორგანიზაციის კრების ორგანიზება;

5.23.3. „გაერთიანების“ პოპულარიზაციის ღონისძიებების ორგანიზება, ადგილზე საარჩევნო კამპანიის კოორდინაცია საარჩევნო შტაბთან შეთანხმებით;

5.23.4. რაიონული ორგანიზაციის ბიუროს მუშაობაში მონაწილეობის მიღება სათათბირო ხმის უფლებით;

5.23.5. შინაგანაწესითა და წესდებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების, აგრეთვე გაერთიანების ზემდგომი ორგანოების და უფლებამოსილ თანამდებობის პირთა ცალკეული მითითებების შესრულება;

6. „გაერთიანების“ საარჩევნო შტაბი, საარჩევნო

შტაბის თავმჯდომარე

- 6.1 „გაერთიანების“ საარჩევნო შტაბი წარმოადგენს „გაერთიანების“ წინასაარჩევნო ორგანოს საქართველოს პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის და საქართველოს პრეზიდენტის წინასაარჩევნო პერიოდში.
- 6.2 „გაერთიანების“ საარჩევნო შტაბი იქმნება წინასაარჩევნო ყრილობის გამართვიდან 2 კვირის ვადაში „გაერთიანების“ თავმჯდომარის (საარჩევნო შტაბის თავმჯდომარის) მიერ. ადგილობრივი არჩევნებისას საარჩევნო შტაბი იქმნება – არჩევნების თარიღის დანიშნიდან 2 კვირის ვადაში.
- 6.3 იმ შემთხვევაში, როდესაც საარჩევნო შტაბის თავმჯდომარე ინიშნება „გაერთიანების“ თავმჯდომარის მიერ, საარჩევნო შტაბის სტრუქტურა უნდა შეთანხმდეს „გაერთიანების“ თავმჯდომარესთან.
- 6.4 საარჩევნო შტაბი ფუნქციონირებას წყვეტს: საპარლამენტო არჩევნებისას – არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან არაუგვიანეს 20 დღისა, ადგილობრივი არჩევნებისას – საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, საპრეზიდენტო არჩევნებისას – ახლადარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის მიღების დღეს.
- 6.5 საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობს „გაერთიანების“ თავმჯდომარე ან „გაერთიანების“ თავმჯდომარის მიერ დანიშნული პირი.
- 6.6 საარჩევნო შტაბის თავმჯდომარე:
 - 6.6.1 ხელმძღვანელობს საარჩევნო კამპანიას;
 - 6.6.2 აყალიბებს საარჩევნო შტაბის სტრუქტურას, დებულებას, ნიშნავს და ანთავისუფლებს საარჩევნო შტაბის წევრებს;
 - 6.6.3 „გაერთიანების“ პოლიტიკურ საბჭოს წარუდგენს პარტიულ სიას და მაქორიტარულ კანდიდატებს დასამტკიცებლად;
 - 6.6.4 კანონმდებლობის ფარგლებში წარადგენს ყველა დონის საარჩევნო კომისიებში კომისიის წევრებს, აგრეთვე, „გაერთიანების“ წარმომადგენლებს;
 - 6.6.5 რაიონებში ნიშნავს და ათავისუფლებს საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელებს;
- 6.7 საარჩევნო შტაბი და მისი თავმჯდომარე წინასაარჩევნო პერიოდში:
 - 6.7.1 წარმართავს წინასაარჩევნო კამპანიას;
 - 6.7.2 განსაზღვრავს „გაერთიანების“ საარჩევნო ბიუჯეტს;
 - 6.7.3 საპარლამენტო არჩევნებისას აკომპლექტებს პარტიულ სიას, რომელსაც შემდგომ ამტკიცებს პოლიტიკური საბჭო საარჩევნო შტაბის თავმჯდომარის წარდგინებით;
 - 6.7.4 განსაზღვრავს რეგიონული და რაიონული ორგანიზაციების საარჩევნო ბიუჯეტებს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;
 - 6.7.5 არეგულირებს ყველა იმ საკითხს, რომელიც ამ წესდებით და კანონით არ შედის სხვა ორგანოების კომპეტენციაში;

7. გაერთიანების ქონება და ფინანსები

- 7.1 „გაერთიანების“ ქონებას ქმნის:

- 7.1.1. საწევრო შესატანი, (არსებობის შემთხვევაში) რომლის შემოღება, ოდენობა, გადახდისა და განაწილების წესი განისაზღვრება პოლიტიკური საბჭოს მიერ;
- 7.1.2. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა შემოწირულობანი, რომლის ოდენობაც არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ ოდენობას;
- 7.1.3. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული სხვა შემოსავალი;

8. გაერთიანების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი

- 8.1 „გაერთიანების“ რეორგანიზაცია შერწყმის, შეერთების ან გაყოფის გზით ან „გაერთიანების“ თვითლიკვიდაცია ხორციელდება წინამდებარე წესდებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 8.2 „გაერთიანების“ რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ყრილობა დამსწრეთა ხმების 2/3-ის უმრავლესობით;
- 8.3 „გაერთიანების“ თვითლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება ნაწილდება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად;
- 8.4 „გაერთიანების“ საქმიანობა შეიძლება ასევე შეწყდეს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

9. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

- 9.1 წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე, ახალი წესდების მიღების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ყრილობას;
- 9.2 9.1 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა ხმების 2/3-ის უმრავლესობით.